East European University

აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი (EEU)

სამოქმედო გეგმა
2026-2028

აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს 2026-2032 წლების პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმის შესაბამისად დაგეგმილ აქტივობებს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორცილებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს და ჩართულ მხარეებს.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის საფუძველზე და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული გეგმით დასახული სამიზნე ნიშნულების მიღწევას და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ეფექტიან და გეგმარებაზე დამყარებულ სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებას. ახლი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, ანდა არსებულში ცვლილებების შეტანის პროცესი მთლიანდ ეფუძნება დემინგის PDCA ციკლს, მისი ეფექტიანად წარმართვის მიზნით უნივერისტეტში დანერგილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასებისა და ანგარიშგების კულტურა. აგრეთვე, ამ პროცესში გამოიყენება უნივერსიტეტში განხორცილებული გარე და შიდა შეფასებების შედეგებიც. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში:

- ფასდება და დგინდება საანგარიშო წელს დაგეგმილი სამუშაოების შესრულების მაჩვენებლები;
- ვლინდება სუსტი მხარეები, რისკები და საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- იზომება სამი წლის ჭრილში დამდგარი შედეგების ეფექტიანობა (სამიზნე ნიშნულებით).

2026-2028-წწ.-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხილული იქნა:

- 2023-2025 წ.წ.-ის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური მონიტორინგის შედეგები;
- სამიზნე ნიშნულების შესრულების მაჩვენებლები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეკომენდაციები;
- გარე შეფასებისას ექსპერტების მიერ გამოთქმული რჩევები.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სტრატეგიული გეგმის შეფასება, რათა გამოვლენილიყო სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილმა ამოცანებმა და აქტივობებმა რამდენად უპასუხა უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და პრიორიტეტებთან შესაბამისობას. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ 2026-2032 წწ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა შეესაბამება საუნივერსიტეტო

მისიასა და ხედვას და პასუხებს ბოლო სამ წელიწადში წარმოქმნილ რიკებსა და გამოწვევებს. ანალიზის შედეგად, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ახალი, 2026-2028 წწ-ების სამწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი მოიცავს უსდ-ს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა მომსახურებას და განვითარებას, კვლევით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტურ სერვისებსა და მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურასა და სხვა მიმართულებებს.

შემუშავებული სამოქმედო გეგმების პროექტები განხილულ იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან და დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებით, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა-განვითარება.

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და პიროვნული განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.

საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.

ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და უმაღლესი განათლების სფეროში ლიდერი დაწესებულება საქართველოში. უზრუნველყოს კვლევითი პოტენციალის განვითარება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, განავითაროს სტუდენტებსა და პერსონალში დემოკრატიული პრინციპები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ღირებულებები:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საკუთარი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და სტრატეგიული განვითარების პროცესს ახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- ერთიანობა - ჩვენი სწრაფვა, ვიყოთ ისეთი უნივერსიტეტი, სადაც პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები საერთო ძალისხმევით ცდილობენ განახორციელონ უნივერსიტეტის ხედვითა და მისიით დასახული მიზნები.

- პატივისცემა - ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთის, ფართო საზოგადოებისა და ისეთი პრინციპების მიმართ, როგორიცაა: თანასწორობა, ანგარიშვალდებულება, სამართლიანობა და ეთიკურობა. ამასთანავე, დაფასებული და აღიარებული იქნება საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველი წევრის ღვაწლი, მათი პიროვნული და აკადემიური თავისუფლება.

- თანაგრძნობა - ჩვენი დამოკიდებულება, რომელიც ორიენტირებულია/მიმართულია სოციალური უსამართლობის, გულგრილობის აღმოფხვრისა და სამართლიანი საზოგადოების დამკვიდრებისკენ.

- მხარდაჭერა - ხელს ვუწყოთ როგორც ერთმანეთის, ასევე სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ განვითარებასა და ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრების პროცესს. ვახდენთ ინდივიდუალური ინტერესებისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას.

- კეთილსინდისიერება - ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოდგენს კეთილსინდისიერება აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში, რითაც უზრუნველვყოფთ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში პასუხისმგებლობის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას.

- აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება - ერთგულნი ვართ აკადემიური და პიროვნული თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპებისადმი და ჩვენი ძალისხმევა მიმართულია, შევქმნათ ამ პრინციპების განხორციელებისთვის საჭირო გარემო და პირობები;

- თანამშრომლობა და კეთილგანწყობა - კეთილგანწყობაზე დამყარებული თანამშრომლობით ვცდილობთ როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, ასევე პარტნიორებთან ურთიერთობისას ეფექტიანი და ურთიერთსარგებლიანი შედეგების მიღწევა

2026-2032 წლების სტრატეგიული გეგმებით დასახული მიზნების განსახორიცლებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტი 2026-2028 წლებში ორიენტირებულია 5 სტრატეგიულ პრიორიტეტზე. მათ შორის, სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევის მიზნით განსაზღვრულია სამი ძირითადი პრიორიტეტი და სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევის ხელშეწყობის (გამყარების) მიზნით ორი გამჭოლი პრიორიტეტი:

სტრატეგიული პრიორიტეტების **მიღწევისთვის განსაზღვრული 3 ძირითადი პრიორიტეტი:**

1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება;

2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება
3. საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის გაძლიერება

ძირითადი პრიორიტეტების განხორციელება უზრუნველყოფილია შემდეგი **გამჭოლი მიმართულებების** ინტეგრაციით:

4. ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა
5. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირებისა და ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდა

აღნიშნული სტრატეგიულ ინიციატივები, თავის მხრივ განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში თითოეული სტრატეგიული და გამჭოლი პრიორიტეტის ქვეშ.

სამოქმედო გეგმას თან ახლავს სამიზნე ნიშნულები და ბიუჯეტი, რომელიც უზრუნევლყოფს რესურსების უწყვეტობას. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ყოველწლიური შეფასება და განახლება ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის საფუძველზე, შესაბამისი ინდიკატორებისა და პროცედურების მეშვეობით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU)
2026-2028 წ. წ.-ის სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული პრიორიტეტი	ამოცანის დასახელება	ძირითადი აქტივობები	შესრულების გადამოწმების წყარო / ინდიკატორები	პასუხისმგებელი ერთეული	ჩართული ერთეული	2026	2027	2028
I. **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო გამოცდილების განვითარება;**	1.1. შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების ინტეგრაცია ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში	1.1.1. სწავლა-სწავლების განვითარების 2027-2029 სტრატეგიაში შედეგებზე დაფუძნებული სწავლების (OBE) პრინციპების და მიდგომების ასახვა	სწავლა-სწავლების განვითარების 2027-2029 სტრატეგია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები		X	
		1.1.2. შედეგებზე დაფუძნებული სწავლების (OBE) საკითხებზე აკადემიური პერსონალის პროფესიული გადამზადება	ტრენინგების ანგარიში	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი		X	X
		1.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების სისტემური შეფასება და განვითარება	განახლებული კურიკულუმის რუკები; სილაბუსების რეესტრი.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები		X	X
		1.1.4. განახლებული სასწავლო კურსების შეფასების და სწავლების მეთოდების ვალიდაცია	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები		X	X

		პროგრამის დასახულ შედეგებთან მიმართებით						
	1.2. სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების განახლება სტუდენტზე ორიენტირებული და ინტერაქტიული მიდგომების შესაბამისად	1.2.1. სწავლების ინტერაქტიული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მომზადება	მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო;	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები		X	
		1.2.2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), კომპიუტერზე დაფუძნებული და ციფრული სწავლების (CBL), შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული (Case-Based-Learning), შებრუნებული საკლასო ოთახის (Flipped classroom) და სხვა თანამედროვე სწავლების მეთოდების სისტემური განვითარება	ანგარიშები	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური		X	X
		1.2.3. სწავლებისა და შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდების ეფექტიანობის პერიოდული მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება	მონიტორინგის ანგარიშები.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები			X
	1.3. სასწავლო პროგრამების რეგულარული მოდერნიზაცია საერთაშორისო	1.3.1. კურიკულუმების პერიოდული განახლება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და	განახლებული კურიკულუმები	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X

	სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით	კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის გზით			• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი			
		1.3.2. საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო რეიტინგის მქონე ანალოგიურ პროგრამებთან ბენჩმარკინგის სისტემის განვითარება;	ბენჩმარკინგის დოკუმენტაცია	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X
		1.3.3. საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
	1.4. კურიკულუმში მომავლის უნარების (კრიტიკული აზროვნება, ციფრული კომპეტენციები, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ლიდერობა) ინტეგრაცია	1.4.1. მომავლის უნარების საგანმანათლებოო პროგრამებში უზრუნველყოფა	განახლებული კურიკულუმები	• ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X
		1.4.2. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების გაძლიერების მიზნით სპეციალიზებული ვორქშოფების ციკლის ორგანიზება	განხორციელებული აქტივობები	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
	1.5. სწავლა - სწავლების ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების განვითარება და გაუმჯობესება	1.5.1. საერთაშორისო რანჟირების და სხვა გარე ინსტიტუციური შეფასებების სისტემურად განხორციელება	საერთაშორისო რეიტინგების სააგენტოების შეფასებები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები • სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი • საფინანსო და მატერიალური	X	X	X

					რესურსების დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი			
		1.5.2. ხარისხის შიდა შეფასების პროცესების ციფრული მხარდაჭერისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების დანერგვა უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი		X	X
		1.5.3. საერთაშორისო პროფილური საგანმანათლებლო ორგანიზაციების მოზიდვა კურიკულუმების განვითარების დარგში	გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები და სხვა	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X
	1.6. სტუდენტთა უკუკავშირის სისტემური გამოყენება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში	1.6.1. სტუდენტთა გამოკითხვის ელექტრონული ინსტრუმენტების სრულყოფა და ანალიტიკური ფუნქციონალის დამატება	განახლებული პლატფორმა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი	X	X	X
	1.7. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და პროფესიული განვითარების უწყვეტი მხარდაჭერა	1.7.1. პერსონალის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება	განვითარების გეგმა	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X

		1.7.2. პერსონალის საჭიროებათა იდენტიფიცირების საფუძველზე პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შემუშავება და ორგანიზება	ტრენინგ-მოდულები, ტრენინგის სერტიფიკატები	განათლების დეპარტამენტი	• ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X
	1.8. სტუდენტური სერვისების (აკადემიური, კარიერული, ფსიქოლოგიური...) სისტემის განვითარება	1.8.1. სტუდენტზე ორიენტირებული ციფრული სერვისების გაუმჯობესება	ციფრული პლატფორმები	განათლების დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		1.8.2. კარიერული წინსვლისა და დასაქმების მხარდამჭერი სერვისების (ქოუჩინგი, მენტორინგი, სტაჟირება) დანერგვა და განვითარება;	დასაქმებისა და სტაჟირების მაჩვენებლები; მენტორინგის პროგრამები	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
		1.8.3. ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების განვითარება	სტუდენტური კმაყოფილების ინდექსი.	განთლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
	1.9. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა აკადემიურ და კურიკულუმგარე აქტივობებში	1.9.1. აკადემიურ და კურიკულუმგარე აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების განვითარება	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• განათლების დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა • ფაკულტეტები		X	X
		1.9.2. სტუდენტთა ჩართულობის	განხორციელებული პროექტების ანგარიშები	განთლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X		X

		სტიმულირების მექანიზმების (აკადემიური კრედიტები, სერტიფიკატები, წახალისების სისტემები) განვითარება			• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა			
		1.9.3. პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით სტუდენტური ერთობლივი პროექტების (კონფერენციები, ფესტივალები, საზაფხულო სკოლები) ორგანიზება	განხორციელებული პროექტების ანგარიშები.	განთლების დეპარტამენტი	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა • ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
	1.10. ინკლუზიური განათლების მიდგომების დანერგვა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის გაძლიერება	1.10.1. ინკლუზიური განათლებისა და მრავალფეროვნების მართვის სტრატეგიის შემუშავება	სტრატეგია	განათლების დეპარტამენტი	• სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი	X		
		1.10.2. ინკლუზიური განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი		X	X
		1.10.3. აკადემიური პერსონალის გადამზადება ინკლუზიური სწავლების მეთოდოლოგიებში და ადაპტირებული	განხორციელებული ტრენინგები; პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X

		სწავლების პრაქტიკის დანერგვა						
	1.11. თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის (EDI) პრინციპების ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკაში	1.11.1. მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპების ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებში	განახლებული რეგულაციები, პროგრამები	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური		X	X
		1.11.2. მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის მონიტორინგი საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოში	EDI მონიტორინგის ანგარიში	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • ფაკულტეტები		X	X
		1.11.3. EDI პრინციპებზე დაფუძნებული საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ორგანიზება, კურიკულუმგარე აქტივობებში	EDI მონიტორინგის ანგარიში	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	X	X	X
II. კვლევის ხარისხის, ინოვაციისა და აკადემიური პროდუქტიულობის ზრდა და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების გაძლიერება;	2.1. ინტერდისციპლინური და გამოყენებითი კვლევების განვითარება და ხელშეწყობა;	2.1.1. ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფების ფორმირების სტიმულირება და ფინანსური მხარდაჭერის სისტემის განვითარება	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		2.1.2. ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობით გამოყენებითი ხასიათის კვლევითი პროექტების ინიცირების ხელშეწყობის სიტემის განვითარება	კვლევითი პროექტები	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X

		2.1.3. ინტერდისციპლინური საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომების კრებულის „ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება“ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში (პლატფორმაში) რეგისტრაცია	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სტატუსი	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი • ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი • ფაკულტეტები		X	
		2.1.4. ინტერდისციპლინური სამეცნიერო ფორუმებისა და სემინარების ორგანიზება	აქტივობების მასალები	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
	2.2. კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და თანამედროვე ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება	2.2.1. კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ლაბორატორიების რაოდენობის გაზრდა	ანგარიში	საფინანსო და მატერილური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X
		2.2.2. კვლევითი გარემოს ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება (მონაცემთა ბაზები, კვლევითი პლატფორმები, გამოთვლითი რესურსები, აკად. პერსონალის პროფილები და ა.შ.);	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X
	2.3. ინოვაციური საქმიანობისა და კვლევითი შედეგების	2.3.1. ინტელექტუალური საკუთრების მართვისა და ტექნოლოგიების	დოკუმენტი	სამეცნიერო კვლევებისა და	• ფაკულტეტები • იურიდიული დეპარტამენტი	X		

	კომერციალიზაციის მექანიზმების განვითარება	გადაცემის რეგულაციის შემუშავება		განვითარების დეპარტამენტი				
		2.3.2. კვლევითი შედეგების ბიზნეს-პროექტებად გარდაქმნისა და სტარტაპების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა	კომერციალიზებული პროექტები	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X		
		2.3.3. ბიზნესთან, ინოვაციურ ეკოსისტემასთან და ინვესტორებთან თანამშრომლობის გაძლიერება კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით	მემორანდუმების რაოდენობა	ფაკულტეტები	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	X	X	X
		2.3.4. ინოვაციური ინკუბაციისა და აქსელერაციის პროგრამების განვითარება კვლევითი შედეგების ბაზარზე დანერგვის ხელშესაწყობად	პატენტების რეესტრი	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები		X	X
	2.4. ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა განვითარების მხარდაჭერა	2.4.1. დოქტორანტურისა და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდამჭერი ინსტიტუციური სისტემის განვითარება	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• სადოქტორო და უმაღლესი განათლების კვლევების განვითრების ცენტრი • განათლების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X

		2.4.2. დოქტორანტთა კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი შიდა საგრანტო სისტემის განვითარება	გაცემული გრანტები; მონაწილეობის სტატისტიკა	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი • საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		2.4.3. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელთა პროფესიული მხარდაჭერა და განვითარება	აქტივობების რაოდენობა	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		2.4.4. დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და აკადემიური მობილობის შესაძლებლობების გაძლიერება	გაცემული გრანტები; მონაწილეობის სტატისტიკა	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
	2.5. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პარტნიორობის გაფართოება	2.5.1. წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან უნივერსიტეტის თანამშრომლობის გაძლიერება	ანგარიში	სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი	• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
		2.5.2. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში და კონსორციუმებში გაწევრიანების მაჩვენებლების გაზრდა	გაზრდილი თანამშრომლობის მაჩვენებლები	სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი	• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X

	2.6. კვლევითი შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა	2.6.1. სასწავლო კურსებში თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი შედეგებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ცოდნის ინტეგრირება	ანგარიში, სასწავლო კურსები	ფაკულტეტები	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X
		2.6.2. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების (RBL) მეთოდოლოგიის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში	განახლებული სასწავლო კურსები	ფაკულტეტები	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	X
		2.6.3. სტუდენტების კვლევით პროექტებში, ლაბორატორიულ და საველე სამუშაოებში ჩართულობის გაზრდა	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		2.6.4. სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის შედეგების გაზიარების მიზნით აკადემიური სემინარების, ვორქშოფების და ფორუმების ორგანიზება	განხორციელებული აქტივობები	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		2.6.5. კვლევითი კომპონენტების სწავლების პროცესში ეფექტიანი ინტეგრაციისთვის აკადემიური პერსონალის გადამზადების სისტემის განვითარება	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X

	2.7. გარე კვლევითი დაფინანსების მოზიდვის მექანიზმების განვითარება	2.7.1. საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო ფონდების (Horizon Europe, SRNSFG) საგრანტო განაცხადების მომზადების საკონსულტაციო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ციფრული პლატფორმის შექმნა და განვითარება	ციფრული პლატფორმა	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი			X
		2.7.2. კვლევითი პროექტების შედეგზე დაფუძნებული თანადაფინანსების მექანიზმების გაძლიერება	წარდგენილი განაცხადები; მოზიდული ბიუჯეტი.	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
III. **საზოგადოებრივი ჩართულობის, პარტნიორობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაფართოება და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული როლის გაძლიერება**	3.1. მოწყვლადი და სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფების მხარდამჭერი პროგრამების განვითარება	3.1.1. საქველმოქმედო და საზოგადოებრივ აქტივობებში უნივერსიტეტის ჩართულობისა და როლის გაზრდა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი, ხელოვნება, ეკოლოგია და სხვა..	ანგარიში	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა	X	X	X
		3.1.2. უნივერსიტეტის მხრიდან დასაფინანსებელი სოციალური და საქველმოქმედო პროექტებისა და აქტივობების ბიუჯეტის პერიოდული გაზრდა	ბიუჯეტი	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა		X	X

		3.1.3. საქველმოქმედო და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობის ზრდა	პროექტების რაოდენობა	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი • სტუდენტური თვითმმართველობა	X	X	X
	3.2. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამების გაფართოება და ხელმისაწვდომობის გაზრდა	3.2.1. დამსაქმებლებთან და ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობით მოთხოვნაზე დაფუძნებული სასერტიფიკატო პროგრამების შეთავაზების სისტემის განვითარება	კურსების რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X
		3.2.2. დაინტერესებულ პირთათვის დისტანციური სწავლების ფორმატებით პროფესიული მოკლევადიანი და მოდულარული საგანმანათლებლო კურსების შეთავაზება	კურსების რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	X	X	X
		3.2.3. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამების საუნივერსიტეტო დაფინანსებით შეთავაზება მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის	ანგარიში	განათლების დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X

	3.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელება	3.3.1. საჯარო ლექციებისა და სემინარების სერიების ორგანიზება აქტუალურ საკითხებზე	ანგარიში	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		3.3.2. უნივერსიტეტის მირ განხორციელებული საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებებისა და აქტივობების სატელევიზიო და სოციალურ მედიაში გაშუქების ინტენსივობის ზრდა	მედია მასალები	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		3.3.3. პოპულარული სასწავლო-სამეცნიერო კონტენტის (ბლოგები, პოდკასტები) მომზადება და გავრცელება	მედია მასალები	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
	3.4. სტუდენტური სოციალური და მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდაჭერა და ინსტიტუციონალიზაცია	3.4.1. სტუდენტური კლუბების შექმნა და მხარდაჭერა, ინსტიტუციური სტიმულირების მექანიზმების შემუშავება, მათ შორის ფინანსური და ორგანიზაციული	ანგარიშები	განათლების დეპარტამენტი	• სტუდენტური თვითმმართველობა • საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		3.4.2. ინსტიტუციური მოხალისეობრივი კულტურის განვითარება და პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება	ანგარიშები	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• სტუდენტური თვითმმართველობა • ფაკულტეტები	X	X	X

	3.5. ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება	3.5.1. სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი პროექტების დაგეგმვა	პარტნიორული ხელშეკრულებები/მემორანდუმები	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• იურიდიული დეპარტამენტი	X	X	X
		3.5.2. სტუდენტთა სტაჟირების და პრაქტიკის უზრუნველყოფა, მათი საერთაშორისო დაწესებულებებში მობილობებსა და აქტივობებში ჩართულობის ზრდა	ანგარიშები	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
	3.6. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელება	3.6.1. "მწვანე უნივერსიტეტის" კონცეფციის ფარგლებში ეკოლოგიური ინიციატივების განხორციელება	ანგარიში	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარატმენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • თვითმმართველობა	X	X	X
		3.6.2. ნარჩენების სეპარირებისა და მართვის გაუმჯობესება	ანგარიში	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარატმენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	X		
		3.6.3. სტუდენტებში ეკო-ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება	ანგარიშები	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	X	X	X

	3.7. უნივერსიტეტის სოციალური გავლენის შეფასების მექანიზმების განვითარება	3.7.1. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პოლიტიკის განვითარება	CSR ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	X		
		3.7.2. კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის და მდგრადი განვითარების ყოველწლიური ანგარიშის შემუშავების სისტემის დანერგვა	CSR ანგარიში;	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი		X	X
IV. ციფრული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა	4.1. საგანმანათლებლო პროგრამების ციფრული ტრანსფორმაცია	4.1.1. სასწავლო პროცესში ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინსტრუმენტებისა და პლატფორმების განვითარება	ციფრული ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		4.1.2. ელექტრონული სასწავლო მასალების (E-resources) და ციფრული ბიბლიოთეკის განვითარება	ციფრული პლატფორმა	ბიბლიოთეკა	• ფაკულტეტები • ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი		X	X
		4.1.3. ციფრულ პედაგოგიკაში აკადემიური პერსონალის გადამზადება	გადამზადებული პერსონალის რაოდენობა	განათლებინოს დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი • ფაკულტეტები		X	X
		4.1.4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკის შექმნა და AI ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამებში	ანგარიშები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X

		ინტეგრაციის ხელშეწყობა						
	4.2. ციფრული ინფრასტრუქტურისა და პლატფორმების განვითარება	4.2.1. საუნივერსიტეტო მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (ERP) განვითარება	ERP პლატფორმა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		4.2.2. კიბერუსაფრთხოების სისტემების გაძლიერება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა	ანგარიშები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ	• პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	X	X	X
		4.2.3. სტუდენტებისა და პერსონალის ონლაინ სერვისების გაუმჯობესება	ციფრული სისტემები	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი		X	X
		4.2.4. მონაცემთა ანალიტიკის ინსტრუმენტების ავტომატიზებული სისტემის დანერგვა	პლატფორმა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	• განათლების დეპარტამენტი • სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	X	X	
	4.3. თანამედროვე სასწავლო სივრცეების მოწყობა	4.3.1. აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზების აღჭურვა Smart-ტექნოლოგიებით;	რაოდენობრივი მაჩვენებლები	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი	X	X	
		4.3.2. ბიბლიოთეკის ციფრულ საერთაშორისო ბაზებზე გარე წვდომის	ხელშეკრულება	ბიბლიოთეკა	• ინფორმაციული ტექნოლოგიების	X		

		უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის			მართვის დეპარტამენტი			
		4.3.3. სტუდენტური რეკრეაციული და კოლაბორაციული (Coworking) სივრცეების მოდერნიზაცია	მოწყობილი სივრცეები	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი			X
	4.4. კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია	4.4.1. კვლევითი ლაბორატორიების პერიოდული აღჭურვა მაღალტექნოლოგიური აპარატურითა და ხელსაწყოებით	შესყიდვების დოკუმენტაცია;	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X		X
		4.4.2. კვლევითი ტექნოლოგიების პლატფორმების განვითარება და ფუნქციური გაფართოება	პლატფორმა	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი			X
	4.5. ,,მწვანე კამპუსის'' ინიციატივების დანერგვა	4.5.1. კამპუსის ინფრასტრუქტურის ენერგოეფექტურობის ამაღლების მონიტორინგის პრაქტიკის დანერგვა	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	X		
		4.5.2. განახლებადი ენერგიის წყაროების (მზის პანელები) გამოყენების ეტაპობრივი დანერგვა	განხორციელებული პროექტები	საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი			X
		4.5.3. კამპუსის ტერიტორიაზე ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი გარემოს	ანგარიში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• საფინანსო და მატერილური რესურსების		X	X

		მართვის პრინციპების ფორმირება			მართვის დეპარტამენტი			
V. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება, საერთაშორისო პოზიციონირების და ინსტიტუციური მიმზიდველობის ზრდა	5.1. საერთაშორისო აკადემიური პარტნიორობების განვითარება	5.1.1. პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის გაფართოება	ხელშეკრულებების/მემორანდუმების რაოდენობა	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
		5.1.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაციებსა (EUA და სხვ.) და ქსელებში აქტიური პოზიციონირება	ვიზიტების ანგარიშები	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
		5.1.3. პარტნიორებთან ერთობლივი სამეცნიერო და აკადემიური ღონისძიებების ადმინისტრირება	ვიზიტების ანგარიშები	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
	5.2. სტუდენტთა და პერსონალის მობილობის გაძლიერება	5.2.1. Erasmus+ და სხვა (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მობილობის რაოდენობრივი ზრდა	მობილობის სტატისტიკა	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
		5.2.2. პერსონალის საერთაშორისო მობილობის შიდა დაფინანსების მექანიზმების ეფექტიანი მართვა	გრანტების ოდენობები	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები	X	X	X
		5.2.3. უცხოელი სტუდენტებისა და მკვლევრების მიღების მხარდამჭერი სერვისების განვითარება	ანგარიში	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი		X	X

	5.3. ერთობლივი და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	5.3.1. უცხოელ პარტნიორებთან ერთად ორმაგი ხარისხის/ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება	საგანმანათლებლო პროგრამები	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
		5.3.2. პროგრამების საერთაშორისო აღიარება და კურიკულუმების ჰარმონიზაცია ევროპულ და საერთაშორისო ჩარჩოებთან (ESG 2027)	საგანმანათლებლო პროგრამები	ფაკულტეტები	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური		X	X
	5.4. საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა	5.4.1. უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სოციალური პლატფორმების საერთაშორისო კონტენტის განვითარება	ვებ-გვერდის მაჩვენებლები;	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
		5.4.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და მარკეტინგულ ღონისძიებებში მონაწილეობა	ანგარიში	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	• მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X
		5.4.3. საერთაშორისო და ერთობლივ სამეცნიერო კვლევით აქტივობებსა და ღონისძიებებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითრების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	X	X	X
		5.4.4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და მაშტაბური	ანგარიში	სამეცნიერო კვლევებისა და განვითრების დეპარტამენტი	• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	X	X	X

		საერთაშორისო ფორუმების მასპინძლობა						
	5.5. უნივერსიტეტის ბრენდინგისა და მარკეტინგის გაძლიერება	5.5.1. საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში (QS, THE და სხვ.) რეგისტრაცია	რეიტინგის მაჩვენებლები;	• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• განათლების დეპარტამენტი • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • დეპარტამენტები	X	X	X
		5.5.2. მიზნობრივი ციფრული მარკეტინგული კამპანიების განხორციელება უცხოელი და ადგილობრივი მაღალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტების მოსაზიდად	სტუდენტების რაოდენობა	მარკეტინგისა და საზ. ურთიერთობის დეპარტამენტი	• საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი • სასწავლო პროცესების ადმინისტრირების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	X	X	X
		5.5.3. სტუდენტთა კონტინგენტის გაფართოების მიზნით ზღვრული რაოდენობის გადახედვა/გაზრდა	სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მაჩვენებელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	• ფაკულტეტები • ადმინისტრაციული ერთეულები	X	X	
		5.5.4. საერთაშორისო კურსდამთავრებულთა (Alumni) ქსელის ჩამოყალიბება და განვითარება	საერთაშორისო კურსდამთავრებულთა ქსელის დებულება და წევრთა სია	განათლების დეპარტამენტი	• ფაკულტეტები • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი		X	X

სამოქმედო გეგმის საკვანძო ნიშნულები

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია სტრატეგიული გეგმის შეფასების საკვანძო ნიშნულები. ეს ნიშნულები ასახავენ სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანობის დონეს, რაც საშუალებას აძლევს ინსტიტუტს შეაფასოს მისი პროგრესი და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

საკვანძო ნიშნულების შეფასება ხდება ორჯერ, სტრატეგიული გეგმის გადახედვის წინ და დასრულებისას: შუალედური შეფასება 2028 წელს ხოლო საბოლო შეფასება კი 2032 წელს. შეფასების შედეგად დარდება ერთმანეთს დაგეგმილი და დამდგარ შედეგები. ყველა საკვანძო ნიშნულები ასახავს სანგარიშო პერიოდის დადგომისას არსებულ მონაცემებს.

N	საკვანძო ნიშნულები	საწყისი მაჩვენებელი 2026 წ.	საბოლო მაჩვენებელი 2028წ.
1.	სტუდენტების რაოდენობა	2059	2900
2.	უცხოელი სტუდენტთა რაოდენობა	1047	1200
3.	ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე გამოცხადებულ ვაკანტური ადგილებისა და მათზე ჩარიცხულ სტუდენტების თანაფარდობა[1]	310/183	395/305
4.	სტუდენტების აკადემიური მოსწრების GPA საშუალო მაჩვენებელი	2.08	2.5
5.	სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა	1496	1110
6.	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი	85%	85%
7.	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის საშუალო ასაკი	49	48
8.	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	319/2059	394/2900
9.	აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	91/ 319	114/192
10.	დოქტორის წოდების მქონე აკადემიური პერსონალის ოდენობა	111	122
11.	სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.2	4.4
12.	სტუდენტების კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.2	4.4.
13.	კურსდამთავრებულთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.0	4.3
14.	აკადემიური პერსონალის კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.74	4.8
15.	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.35	4.5
16.	დამსაქმებელთა კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი	4.0	4.3

[1] 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით

N	საკვანძო ნიშნულები	საწყისი მაჩვენებელი 2026 წ.	საბოლო მაჩვენებელი 2028წ.
17.	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის თანაფარდობა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან	68 / 91	114/114
18.	ჯამურად სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებით საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტის თანაფარდობა უნივერისტეტის ბიუჯეტთან	5/100	7/100

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
საპროგნოზო ბიუჯეტი 2026-2027-2028
ვალუტა-ლარი

დასახელება	2026	2027	2028
	ჯამური მაჩვენებლები		
აღმოსავლეთ ევროპის 2026-2027-2028 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			
შემოსავლები			
ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	**15,986,000.00**	**19,896,400.00**	**24,476,400.00**
შემოსავალი სტუდენტებიდან	15,579,600	19,490,000	24,070,000
შემოსავალი გრანტები	50,000	50,000	50,000
სხვა შემოსავლები	356,400	356,400	356,400
სარეზერვო ფონდი	**100,000.00**	**100,000.00**	**100,000.00**
სარეზერვო ფონდი	100,000	100,000	100,000

ხარჯები	**14,127,550.00**	**13,649,983.40**	**18,313,868.51**
იფრასრუქტურის გაუმჯობესება			
ინფრასტრუქტურული განვითარება	2,050,000	600,000	2,800,000
მატერიალურ ტექნიკური განვითარება	350,000	100,000	100,000
საბანკო სესხის მომსახურება	-	-	-
სესხის პროცენტი	200,000	180,000	150,000
სესხის ძირი	400,000	460,000	490,000
საერთო ადმინისტრაციული	-	-	-
მარკეტინგული ხარჯები	184,000	212,400	284,260
საიჯარო ქირა	853,416	853,416	873,416
სხვა ადმინსტრაციული ხარჯები	518,000	579,800	678,870
სხვა პირდაპირი ხარჯი სტუდენტზე	622,762	698,038	812,744
შრომის ანაზღაურება	-	-	-
ხელფასი	-	-	-
მ.შ. აკადემიური პერსონალი	3,356,572	3,772,229	4,438,064
მ.შ. ადმინისტრაციული, კვლევითი და დამხმარე პერსონალი	1,399,600	1,529,560	1,978,994
მ.შ. მოწვეული პერსონალი	1,795,000	1,984,500	2,382,175
აკადემიური და კვლევითი პერსონალის ჰონორარი	445,000	499,500	584,725
მომსახურება და შესყიდვები	-	-	-
სამივლინებო ხარჯი	60,600	67,780	87,947
საკომუნიკაციო ხარჯი	38,600	44,460	58,129
კომუნალური ხარჯი	129,900	145,890	187,774
საკანცელარიო საქონლის შეძენა	19,700	24,670	28,871
უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური განვითარების ხარჯები	-	-	-
ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი	120,000	137,000	197,550
საერთაშორისო ღონისძიებები, წარმომადგენლობითი და სხვა საერთაშორისო აქტივობები	120,000	138,000	188,700
სტუდენტებისათვის სტიპენდიები და სხვა ტიპის დაფინანსებები, სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება.	407,000	457,700	576,355
სტუდენტური თვითმართველობის დაფინანსება	57,000	64,700	78,405
ქველმოქმედება და სოციალური პროექტები	90,000	100,000	150,000
შიდა საუნივერსიტეტო ღონისძიებები(საჯარო ლექციები, მრგვალი მაგიდა და ა.შ)	34,100	37,910	49,597
კონფერენციების, ვორკშოპების, სემინარების ორგანიზება	67,000	74,800	88,020
სამეცნიერო აქტივობების და საგრანტო პროეტების (შიდა და გარე) დაფინანსება	380,000	480,000	580,000
საერთაშორისო, სამეცნირეო ორგანიზაციებში წევრობის საფასური	72,600	79,960	99,954
ბიბლიოთეკის განვითარების (ინფრასტრუქტურა, ლიტერატურა, სამეცნიერო საერთაშორისო ბაზები და სხვა და საუნივერსიტეტო გამოცემები)	160,000	110,000	110,000
არამატერიალური აქტივები (საწევროები, ელექტრონული სისტემები და ა.შ.)	62,700	69,870	79,351
საერთაშორისო/ადგილობრივი საექსპერტო მომსახურება	134,000	147,800	179,970